

შპს “უდაბნო ფერმა”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....2

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება3

ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....5

2. მომზადების საფუძველი5

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა5

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....8

5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია8

6. სასოფლო-სამეურნეო ხარჯები8

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი9

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები9

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები9

10. მარაგები.....9

11. ძირითადი საშუალებები10

12. ბიოლოგიური აქტივები11

13. აქტივის გამოყენების უფლება და სალიზინგო ვალდებულებები11

14. გაცემული სესხები11

15. სავაჭრო ვალდებულებები11

16. გადასახადები12

17. მიღებული სესხები12

18. საწესდებო კაპიტალი12

19. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები12

	შენიშვნები	2024	2023
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია	5	514,893	372,329
საერთო მოგება		514,893	372,329
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	6	(770,141)	(514,516)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(1,877,097)	(2,391,571)
ცვეთა და ამორტიზაცია		(491,977)	(314,629)
ქონების გადასახადის ხარჯი		(21,647)	(17,804)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		3,816	12,687
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(2,642,153)	(2,853,504)
საპროცენტო ხარჯი	17	(1,230,017)	(386,129)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან		(1,884)	(179,331)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		323,413	470,322
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(3,550,641)	(2,948,642)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(3,550,641)	(2,948,642)

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 1-4 გვერდებზე დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „უდაბნო ფერმის“ ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს:

ნატო ჯაფარიძე

დირექტორი



შპს „უდაბნო ფერმა“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2024	2023
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია	5	514,893	372,329
საერთო მოგება		514,893	372,329
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	6	(770,141)	(514,516)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(1,877,097)	(2,391,571)
ცვეთა და ამორტიზაცია		(491,977)	(314,629)
ქონების გადასახადის ხარჯი		(21,647)	(17,804)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		3,816	12,687
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(2,642,153)	(2,853,504)
საპროცენტო ხარჯი	17	(1,230,017)	(386,129)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან		(1,884)	(179,331)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		323,413	470,322
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		(3,550,641)	(2,948,642)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(3,550,641)	(2,948,642)

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 1-4 გვერდებზე დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „უდაბნო ფერმის“ ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს:

ნატო ჯაფარიძე

დირექტორი

შპს „უდაბნო ფერმა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	1,236	64
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	851,694	809,673
მარაგები	10	2,812,386	2,317,801
საგადასახადო აქტივები	16	111,365	92,758
სულ მიმდინარე აქტივები		3,776,681	3,220,296
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,970,005	2,115,732
ბიოლოგიური აქტივები	12	8,752,437	7,973,246
აქტივის გამოყენების უფლება	13	1,422,427	1,538,669
გაცემული სესხები	14	4,753,560	38,300
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,898,429	11,665,947
სულ აქტივები		20,675,110	14,886,243
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	15	267,671	227,199
სულ მიმდინარე ვალდებულებები		267,671	227,199
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	20,070,558	10,398,495
სალიზინგო ვალდებულება	13	1,047,892	1,420,919
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		21,118,450	11,819,414
სულ ვალდებულებები		21,386,121	12,046,613
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	6,605,451	6,605,451
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(7,316,462)	(3,765,821)
სულ საკუთარი კაპიტალი		(711,011)	2,839,630
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		20,675,110	14,886,243

შპს „უდაბნო ფერმა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2022	5,391,611	(817,179)	4,574,432
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,213,840	-	1,213,840
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	(2,948,642)	(2,948,642)
31 დეკემბერი 2023	6,605,451	(3,765,821)	2,839,630
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	(3,550,641)	(3,550,641)
31 დეკემბერი 2024	6,605,451	(7,316,462)	(711,011)

შპს „უდაბნო ფერმა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(3,550,641)	(2,948,642)
<i>კორექტირებები</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	11; 13	491,977	314,629
საპროცენტო ხარჯი	13; 17	1,230,017	386,129
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>			
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში		(349,098)	(382,282)
ცვლილებები მარაგებში		(494,585)	(760,460)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში		(16,162)	(67,333)
ცვლილებები სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებში		662,599	(258,749)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,025,893)	(3,716,708)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მირითადი საშუალებების შესყიდვა		(230,008)	(206,050)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა		(779,191)	(6,444,086)
სესხის გაცემა		(13,216,697)	(2,756,410)
გაცემული სესხის უკან დაბრუნება		5,993,254	7,534,404
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(8,232,642)	(1,872,142)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		15,291,625	4,736,959
მიღებული სესხის უკან დაბრუნება		(3,691,437)	(125,106)
გადახდილი პროცენტი		(1,268,128)	(386,129)
საწესდებო კაპიტალის ზრდა ფულადი შენატანით		-	1,213,840
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		10,332,060	5,439,564
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში		64	2,936
(მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(72,353)	146,414
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს		1,236	64

შპს „უდაბნო ფერმა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს უდაბნო ფერმა (შემდგომში ასევე „კომპანია“) დაარსებულია 2018 წლის 12 სექტემბერს. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404564191. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა 14.

შპს უდაბნო ფერმის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მესაკუთრე არის შპს უდაბნო ჯგუფი ს/ნ: 404630547.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში. ოპერაციები მოიცავს ბიოლოგიური აქტივების მართვას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღებასა და მისი რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლოგაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

	<u>საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი</u>	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ;

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია

2024 წელს კომპანიამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიიღო 514,893 ლარის შემოსავალი, ხოლო 2023 წელს შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენდა 372,329 ლარს.

6. სასოფლო-სამეურნეო ხარჯები

სასოფლო-სამეურნეო ხარჯი 2024 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ფერმების მოვლა და ტექნიკური სამუშაოები	488,645	348,320
ტრანსპორტირებისა და სავაჭრო ხარჯი	248,665	144,467
ბიოლოგიური აქტივის მოვლის ხარჯები	25,628	2,400
სხვა სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	7,203	19,329
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	770,141	514,516

შპს „უდაბნო ფერმა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2024 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	1,042,480	1,917,483
იჯარის ხარჯი	628,048	283,133
საკომისიო ხარჯები	114,644	40,251
ავტომობილებისა და ტექნიკის რემონტი	51,650	40,844
საოფისე ხარჯი	20,986	29,276
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	660	55,410
სხვა ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18,629	25,174
წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,877,097	2,391,571

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო დაწესებულებებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულად საშუალებებს.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დებიტორული დავალიანება	150,356	157,063
გაცემული ავანსები	654,263	610,696
სხვა მოთხოვნები	47,075	41,914
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	851,694	809,673

10. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ცხოველთა საკვები	1,336,843	1,189,872
ნედლეული და მასალები	785,265	781,378
საწვავი	382,856	164,822
ვეტ-პრეპარატები	162,237	113,018
მზა პროდუქცია	21,815	20,433
სამშენებლო მასალები	11,614	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	111,756	48,278
სულ მარაგები	2,812,386	2,317,801

შპს „უდაბნო ფერმა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შემდეგს:

თვითღირებულება	შენობა და ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2022	1,480,048	615,189	93,436	238,803	196,099	2,623,575
შემოსვლები	166,071	22,393	10,114	-	7,472	206,050
31 დეკემბერი 2023	1,646,119	637,582	103,550	238,803	203,571	2,829,625
შემოსვლები	111,773	-	75,748	-	42,487	230,008
31 დეკემბერი 2024	1,757,892	637,582	179,298	238,803	246,058	3,059,633
დაგრობილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2022	232,403	102,178	20,415	44,268	-	399,264
წლის ცვეთის ხარჯი	224,014	63,335	11,381	15,899	-	314,629
31 დეკემბერი 2023	456,417	165,513	31,796	60,167	-	713,893
წლის ცვეთის ხარჯი	225,137	63,758	10,740	76,100	-	375,735
31 დეკემბერი 2024	681,554	229,271	42,536	136,267	-	1,089,628
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	1,189,702	472,069	71,754	178,636	203,571	2,115,732
31 დეკემბერი 2024	1,076,338	408,311	136,762	102,536	246,058	1,970,005

შპს „უდაბნო ფერმა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	6,915,779	6,641,759
წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი	1,085,061	1,131,069
ღორის ჯიშის პირუტყვი	551,179	-
სხვა ბიოლოგიური აქტივები	200,418	200,418
სულ მარაგები	8,752,437	7,973,246

13. აქტივის გამოყენების უფლება და სალიზინგო ვალდებულებები

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანიას გააჩნია სალიზინგო ხელშეკრულებები სალიზინგო კომპანიასთან, რომელთა საფუძველზეც აღიარებულია აქტივის გამოყენების უფლება. აღნიშნული აქტივები კლასიფიცირებულია როგორც სატრანსპორტო საშუალება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის გამოყენების უფლების ნაშთი შეადგენს 1,422,427 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 1,538,669 ლარი).

სალიზინგო ვალდებულება

კომპანიას გააჩნია სალიზინგო ხელშეკრულებები სალიზინგო კომპანიასთან, რომელთა საფუძველზეც აღიარებულია სალიზინგო ვალდებულება, რომელიც წარმოადგენს მომავალში გადასახდელ სალიზინგო გადახდების დღევანდელ ღირებულებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სალიზინგო ვალდებულების ნაშთი შეადგენს 1,047,892 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 1,420,919 ლარი), ხოლო 2024 წელს სალიზინგო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 97,966 ლარს (2023 წელს - 119,967 ლარს)

14. გაცემული სესხები

კომპანიას აქვს გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებთან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების ნაშთი შეადგენს 4,753,560 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 38,300 ლარი).

15. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კრედიტორული დავალიანება	179,227	164,626
მიღებული ავანსები	87,844	61,313
სხვა ვალდებულებები	600	1,260
სულ სავაჭრო ვალდებულებები	267,671	227,199

შპს „უდაბნო ფერმა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

17. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო სექტორისგან მიღებული სესხები	14,236,812	4,838,347
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	5,833,746	5,560,148
სულ სავაჭრო ვალდებულებები	20,070,558	10,398,495

2024 წელს მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 1,132,051 ლარს (2023 წელს - 266,162 ლარს).

18. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 6,605,451 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 6,605,451 ლარი).

კომპანიის მეწილეთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია პირველ შენიშვნაში.

19. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ ყოფილა სხვა ისეთი მოვლენები, რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.